ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №51
2018 წლის 25 იანვარი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივ რანგებში განაწილების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის, საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03.01.2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.121.016267) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ლილუაშვილი**

დანართი №1

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი რანგი	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარი)
	საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები		
1	საკრებულოს თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1700
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1350
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	პოლიტიკური თანამდებობის პირი	1350
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	პოლიტიკური თანამდებობის	1000

		პირი	
საკრებულოს აპარატი			
6	დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი	I	1500
7	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი	II	1200
8	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - განყოფილების უფროსის მოადგილე	III	900
9	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	750